

გადასარილი ფულში?

ამ კაცს ზუგდიდში დიდი და პატარა იცნობს და განა მართო ზუგდიდში? თათრ ფაცციას სახელს პატავისცემით იხსენიებენ ქუთაისში, ბათუმში, თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. არ გეგონოთ, რომ ამას აიძულებს მისი თანამდებობა, იგი ხომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დაწესებულების „საქქადალ-მრეწვის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორია. ტიტულულებით და წოდებებით ხალხის ნდობას რომ ვერ მოიპოვებ, მით უმეტეს ჩვენს დროში, ეს ალბათ ყველაზე სასტიკი ნათელია.

პატავის სცემენ ფაცციას საქმიანობაში უსაზღვრო ერთგულებითვის, პატავის ნდობისთვის, პირდაპირობისთვის, უკომპრომისობისთვის, მაღალი კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმისთვის.

და შეიძლება მართალია ითარამბაკოს ძე, როცა ამბობს, რომ ჩვეულებრივს და აუცილებელს ადამიანს მხოლოდ იმითომ, რომ ის პატავისაა, ან ვინმეს წაუყუენოთ ხელმძღვანელს მაგალითი, იმისათვის, რომ ის კარგად უძღვებდა დაავადებულ საქმეს? ეს ხომ ასეც უნდა იყოს?

ამ თემაზე შეიძლება გაუთავებლად იკამათო, მაგრამ დღეს ეს ჩვენი მიზანი არ არის. გვინდა შევთავაზოთ სამეურნეო ხელმძღვანელის მონოლოგი, რომლისთვისაც, როგორც შორსმჭვრეტელ ადამიანს შეგვიძლია, ფიქსურულად სპორტული მოძრაობის პრობლემები სულერთი არ არის. ეს ზოგისათვის მონოლოგი-ჩაფიქრება იქნება, ზოგისათვის კი მონოლოგი-ბრალდება.

ალბათ გახსოვთ ჩეხოვის მოთხრობა „ბევრი ქალაქი“, როგორც გასაცარილი სიხუსტით, რა იუმორით და ტრევილით გვიხატავს მწერალი ბიუროკრატის პორტრეტს. და როგორ გამძიმდება სულს, როცა დღესაც გვხვდებიან ჩეხოვის გმირები „ლირსეული“ მეგვიდრენი. მსგავსება კი მიუხედავად იმისა, რომ მათ მთელი სა-

უკუნე ამოცნობს, შემადარწუნებელია. საერთოდ, ბიუროკრატობა ფიქსურულად ერთ-ერთი ვერაფერი მტერთაგანია, მისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დამმხრეობა ჩვენი, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად ზოგჯერ ფიქსურულად მეტად დიდხანს და მწვერულების მთელი კორპუსიც კი უძღვრია. ხშირად მათი მუშაობა ფასდება არა ფაქტური უკუგებით, არამედ კონტად დაწყობილი საქმიანობის რაოდენობით, დოკუმენტაციის გავრცელებით „სისწორით“.

ვინ მოთვლის, რამდენი ზიანი მოაქვს საქმიანობა ასეთ „შემოქმედებით“ მიღწევას. რამდენ ძვირფას წუთებს კარგავს ინსტრუქტორ-მეთოდისტი ან რომელიმე ბავშვთა და მოხარულთა სპორტული სკოლის მწვრთნელი არაფრის მაქნისი ინდივიდუალური თუ პერსპექტიული გეგმების შედგენაზე, სხვადასხვა ტიპის ბარათების შევსებაზე. ამ დროის განმავლობაში ხომ მას უამრავი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია — დაინტერესოს სპორტით ასობით ადამიანი, მოაწყოს მათთვის არა ქაილაღზე, არამედ სინამდვილეში ტურისტულ ლაშქრობა ან მომხიბლავი შეჯიბრებები.

გეთანხმებით, რომ დღეისათვის ქალაქდამიანისათან ბრძოლა, როგორც იტყვიან, ყველა ფრონტზე მიმდინარეობს, მაგრამ ვინ უარყოფს იმას, რომ „საქმიანი უსაქმრობა“ ჩვენში ჯერ კიდევ პატავში არაა.

არა, ხელჩაქეული პესიმისტი არ გეგონოთ. ვებრძვი, რომ ფიქსურულად მუშაობა უკვე მიღწეის ზოგიერთ წარმატებებს ფორმალურ მისა და ფულსიტყვების გავრცელებაში. ყინულს, როგორც იტყვიან, დაიძრა. თუმცა, არ დავიშალები, რომ ამასი სულ ახლახანს საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიქსურულად სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს I ყრილობაზე და ვრწმუნდი, რომლის მუშაობაშიც მე ბედნიერება მხედა წილად მონაწილეობა მიმელო როგორც დელეგატს.

სწორედ მაშინ მივხვდი, თუ რა სასიამოვნოა უსმენდე ადამიანის გა-



მოსვლას, რომელიც მაღალ ტრიბუნაზე ადის არა იმტომ, რომ მთელი ძალით იყვიროს „ლიდა“ აღსრულებებზე და დამსწრეებს თვალები აუხვიოს, არამედ, რომელიც გულახდილად გვესაუბრება ჩვენს სტატიკურზე, ხმაილა იფიქრებს იმ პრობლემებზე, რომელიც მუშაობაში გვიშლის ხელს, მათი გადაწყვეტის გზებზე.

სიტყვები „ფიქსურული“ და „ჯანმრთელობა“ დიდი ხანია სინონიმებად იქცა, ვფიქრობ ყველა დამეთანხმება ამასი. საკითხავი კი შემდეგია — ჩვენ, ნებისმიერი რანგის სამეურნეო-ხელმძღვანელები, რა ზომებს ვღებულობთ შრომელთა ჯანმრთელობის გასამტკიცებლად?

ვერ გამოვიც, როგორ უნდა შევურიგდეთ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველ მესამე ადამიანს შედმეტი წონა აქვს, ვფიქრობ მეითხე ეწვევა სიგარეტს? ან იმას, რომ ქვეყანაში რეგისტრირებულია 4,5 მილიონი ალკოჰოლით გატაცებული ადამიანი. როგორ შეიძლება არ შეგვეწუხოს იმას, რომ საქართველოს სოფლების 70 პროცენტს საგარჯიშოდ არ გააჩნია მარტივი ტიპის მოედნებიც კი? არც ქალაქადა ბევრად უკეთესი მდგომარეობა. მშრომელთა რომელ გაჯანსაღებაზე შეიძლება ასეთ პირობებში. ლაპარაკი?!

ჩემი მხრიდან ალბათ არც თუ ისე ეთიკური საქციელია ავტორიტეტული გამოცემის ფურცლებიდან დიდიქიტურის სენტენციებით კრიტიკული ისრები ვისროლო კოლეგების მისამართით, მაგრამ ჩემს შეხედულებას მაინც გაგიზიარებთ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ შორსმჭვრეტელი, გულმოდგინე და ჰკვიანი ხელმძღვანელი პირველ რიგში თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, თავის შრომით კოლექტივში ფიქსურული და სპორტი განავითაროს, მაგრამ მხოლოდ იმტომ არა, რომ ვალი მო-

ხადოს ზემდგომი ორგანოების წინაშე. მიზეზები უფრო მნიშვნელოვანია.

პიკველი. საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ იქ, სადაც ფიქსურულად-გამაჯანსაღებელი მუშაობა თავის სიმაღლეს ღვსავს, მკვეთრად მცირდება გაცლებები ავადმყოფობის გამო, ჩვენი მეზობელი ვანის რაიონის პარტიულმა ხელმძღვანელობამ როგორც კი სერიოზულად მოკიდა ხელი მასობრივი სპორტის განვითარებას, ავადმყოფობათა რიცხვმა რაიონის მშრომელებში 10 პროცენტით იკლო. რუხერგები, როგორც ხედავთ, დიდა.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია ფიქსურული კოლექტივის შრომითი კოლექტივი — არა მარტო საწარმოო, არამედ საყოფაცხოვრებო დისციპლინის განმტკიცებაში მდგომარეობს. ვფიქრობ, საჭიროებას არ მოითხოვს განმარტო, თუ როგორ იზრდება შრომის ნაყოფიერება, როცა სახარტო დაზიანებას, ქვეანაზის შხტში თუ მანქანის საქმსთან — მხენ, წელში გამართული და ძალ-ღონით სავსე ადამიანია.

და ბოლოს, ფიქსურული ხომ ყველაზე უტყუარი საშუალებაა ადამიანის ისეთი მანკერებების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, თამბაქოს მოწვევა.

ვფიქრობ, დიდი მიღწევა იქნება, თუ ჩვენ შევძლებთ დავიყვანოთ ეს ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის შეხედულება, ამ საქმეში წარმატება კი უნდა დადამოკიდებული ხელმძღვანელის პირად მაგალითზე. ზოგჯერ ასეც ხდება: ვუხმობთ ჩვენს ქვეყნისთვის სტადიონზე, გაყვრივართ ლამაზ ლოუნჯებზე, ჩვენ თვითონ კი წესდარდ ბურთის დარტყმა და აუხში 25 მეტრის გატურავც კი არ შეგვიძლია.

ამასთან დაკავშირებით ხშირად მახსენდება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფკომიტეტის თავმჯდომარის ი. მარგალიტაძის სიტყვები პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიქსურული სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს I ყრილობაზე. მან ტრიბუნიდან გამოთქვა აზრი, რომ საამქროთა უფროსების ვაკანსიებზე განწყობისას ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ კანდიდატების არა მარ-

ტოცა საწარმოო და ორგანიზაციული შესაძლებლობები, მათი ცოდნა და გამოცდილება, არამედ ფიზიკური კულტურისათვის და სპორტის, როგორც ჯანმრთელობის პირველ წყაროსთან მათი დამოკიდებულება. აი, ეს არის საქმისადმი არაფორმალური მიდგომა.

მაგრამ ისინი, ვინც ასევე მსჯელობენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტან არიან. მეტწილად, ჩემთვისაც ბევრჯერ უსაყვედურებით: ის ფული, რასაც ფიქსურულად თავის და სპორტისთვის ყრი, ჯობია სერიოზულ საქმეს მოახმაროს.

ხშირად მიწვევდა დამერწმუნებინა ასეთები, რომ ფული დახარჯებული სპორტში არ არის დაკარგული კაპიტალი, რომ მისი უუყვება ადამიანის ჯანმრთელობა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება.

დიდი ხანია არ არის, რაც ჩვენს საწარმოო გაერთიანებაში მწყობრში ჩადგა 10 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სპორტული კომპლექსი, რომლის მოწყობაც 2 მილიონ მანეთამდე დაგვიჯდა. კომპლექსი გადახურულია, მასში მოთავსებულია საცურაო აუზი და საკუყმალაო, ორი დიდი დარბაზი, 600 კაცისათვის, ცალკე დარბაზები კრივისთვის, ჰიდობისთვის, ფაროკაბისთვის, მძლეოსნობისთვის და ტანვარჯიშისთვის.

საქქადალმრეწვის“ მუშაკები დიდი სიმოწვებით სარგებლობენ დიანოსტიკისა და ალდგენიითი მკურნალობის ამბულატორიული ცენტრის მომსახურებით, რომელიც შარშან შემოდგომაზე აშენდა, და მე არც მაქვს არავითარი საფუძველი ჩავთვალო, რომ მილიონობაზე კარი მანეთი, რომელიც ცენტრის აშენებაზე და აღჭურვაზე დაიხარჯა, გადაყრილი ფულია. დიდი პოპულარობით სარგებლობს საწარმოს ტერიტორიაზე მოთავსებული ფსიქოლოგიური განტვირთვის კაბინები და აუტორტინინგი „სავანე“ (იგი საათში 100 ადამიანს ისტუმრებს), ჩანს ხალხმა თანდათან შევიწრო უცილობელი ჰუმანარობის ჯანმრთელობა აფთიაქში არ იყიდება. ამიტომ დადიან ისინი სტადიონებზე, სპორტკლუბებში, აუზებზე — მოდიან ჯანმრთელობისთვის.

მონოლოგი ჩიწრია
დავით პაპახაძემ.
(„ხოვებსკი სპორტი“, 26.V 1988)



ორიინტირი — შაპუკატი

II საკავშირო თამაზები

სამბისტაბი ძიულოისტაბს

მიპარტაპენ

დახმარაბისათვის

ქაბუკთა II საკავშირო თამაზებში საასპარეზოდ ჩვენი რესპუბლიკის სამბისტა ნაკრები ახლა კომპლექტდება და ამიტომ უადრესად დიდი მნიშვნელობა მქონდა ამ ახაკის მოქიდავთა რესპუბლიკური პირად პირველობას, რომელიც ახლახან გაიმართა ვარში.

ექვე უნდა ითქვას, რომ გორელმა გულბოლიად გვიმასპინძლეს შეჯიბრების მონაწილეებს, მსაჯებმა და გუნდების წარმომადგენლებს ყველა პირობა შევავსენ ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. არადა, ეს იოლი საქმე არ იყო — სწორედ მაშინ გორში საგუნდო მუსიკის საკავშირო ფესტივალი მიმდინარეობდა.

ახლა, როდესაც შეჯიბრება უკან დარჩა და გამარჯვებულთა ვინაობაც ვიცით, მაინც არ შეიძლება ემაფიცილო ვიყოთ, რა დასამალია, ჩვენში ძიულოს სკოლა გაცილებით ძლიერია სამბისტებისაზე და ჩვენი გუნდის გუნდის გასაძლიერებლად რამდენიმე ძიულისტი „დავისესხობა“. ამას შექმნილი მდგომარეობა გვაიძულებს, მიმავალში კი საკუთარი რეზერვის მომზადებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

გუნდში ძიულისტთა მიწვევის აუცილებლობა ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ ზოგიერთმა

სამბისტმა, რომლებსაც გუნდის ლიდერებადაც კი ვთვლიდით, შეჯიბრებაზე სუსტი მომზადება გამოავლინა. უნდა ითქვას, რომ მომზადებული პერიოდის საწვრთნელ შეჯიბრებებზე ისინი თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ ეტყობა შინ, საკუთარ მწვრთნელებთან ვარჯიშში მოუკლეს. კიდევ შევასხენებ მათ: ნაკრებ გუნდში მხოლოდ ლირსეული მიხედვებიან. ასეთებად მიმანია აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, სვანეთის, ფოთისა და ქარლის გუნდების ზეგრი მოწოდებები, რომლებმაც გორში გამართულ შეჯიბრებაში ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. რა თქმა უნდა, გამარჯვებულთა შორის რამდენიმე ძიულისტიც იყო. მაგალითად, ახმეტელი გიორგი ლოლაძე, ქარელი ბესიკ ქოქოვეი, თბილისელი თემურ რატიანი...

ჩვენი გუნდის პერსპექტივა, რასაკვირველია, უფრო სახარბიელო იქნება, თუ 1970 წელს დაბადებული ძიულისტებიც დაგვემატები-

ან. საკავშირო ღებულების თანახმად, ამ ასაკის სპორტსმენებს არა აქვთ ქაბუკთა II საკავშირო თამაზების პროგრამით გათვალისწინებულ ძიულისტთა ტურნირში გამოსვლის უფლება (დაიშვებიან მხოლოდ 1971 წელს დაბადებულნი და უმცროსნი), მაშინ, როდესაც სამბისტთა შეჯიბრება ღია იქნება მათთვის. ასე რომ, თუ შევძლებთ ამ, ან უმცროსი ასაკის ძიულისტების ზაზა დაბრუნდაშვილის, თამაზ სააკაშვილის, მაკარ თვალაძის და ვლადიმერ დგებუაძის გუნდში მიწვევა, გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწევთ.

ოღონდ, ეს რაც შეიძლება მაღლ უნდა მოხდეს. ამ ბიჭებიდან ყველას უჭირდვია სამბო, მაგრამ შეჯიბრებადღე დარჩენილ დროში საჭიროა ილეთების უფრო დახვეწა. ჩვენი ასპარეზობა აგვისტოში გამართება გორის ოლქის ქალაქ კსტოვოში.

კვლავ ვიმეორებ, არ გეგონოთ, ძიულისტთა იქით ვერავის ვხედავდეთ. გუნდში რამდენიმე საიმედო სამბისტიც გვეყავს, მაგალითად, თბილისელები ბონდო მარიაშვილი და ბორის სუკიასიანი, ქარელი დავით თურმანიძე... თუ ყველაფერი ჩვენი გეგმის მიხედვით წარიმართა, სამბისტთა და ძიულისტთა საკმაოდ ძლიერი გაერთიანებული გუნდი გვეყოლება. მხოლოდ ასეთ კოლექტივს შეუძლია შეასრულოს სამბისტთა წინაშე დასახული მტად საპასუხისმგებლო ამოცანა — ჩვენ ხომ ქაბუკთა II საკავშირო თამაზებზე III ადგილი „დაგვიგვამეს“.

გიმ მარკობრიძე,
საქართველოს სპორტსაბჭოს
თავარი მწვრთნელი სამბოში.



უნივერსალია—88

განა ეს შეეფარებათ?

ჯეუ კალათბურთელთა ასპარეზობაში, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა, თოთხმეტ გუნდს ელოდნენ, მაგრამ ასპარეზობას თავი არიდეს მათუმიხა და თვლავის პედაგოგიური, გორის ეკონომიკური და თბილისის ზოგადტერიტორიული ინსტიტუტების სპორტსმენებმა. არადა, ამ გუნდებს განაცხადები წარმოადგინილი მქონდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებას ყველა გუნდი სათანადოდ მომზადებული როდი შეხვდა აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის, რომ ასპარეზობის პირველ დღეს აფხაზეთის უნივერსიტეტის კალათბურთელთა დირექტორი მამიაშვილი და ი. მარგალიტაძის სპორტული ინსტიტუტის კოლექტივთან სათამაშოდ საერთოდ არ გამრცხადდნენ. თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთელთა დირექტორი იტყვიან, ასტონომიული ანგარიშით (112:39) დამარცხეს საბურთის ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები, შემდეგ კი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივიც ასევე დიდი უპირატესობით დაჯანბეს.

მათთან ცუდად გამოვიდნენ საქართველოს სასოლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენებიც. მათ ორივე შეხვედრა დიდი ანგარი-

შით წააგეს: ჯერ საქართველოს სპორტობიკური ინსტიტუტის გუნდთან (60:10), შემდეგ კი ფიქსურულად ინსტიტუტის წარმომადგენლებთან (38:107).

ერთი სიტყვით, შედეგებიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორი მომზადებულები შეხვდნენ უნივერსიტეტის ზოგიერთი კოლექტივები. ზემოთქმული თუ იმასაც დავძინებ, რომ თითოეულ გუნდში პირველ თანრიგზე ხალხები კლასის სპორტსმენი არ თამაზობდა, ცხადი ვახდება, სად უნდა ვეძებოთ ჩვენი სტუდენტური კალათბურთის, რბილად რომ ვთქვათ, ჩამორჩენის მიზეზი.

უნივერსიტეტზე ერთადერთი თამაში, რომელიც დამაბულად წარიმართა და მავურებულთა მოწონება დიამსახურა, თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების ორთაბრძოლა იყო. გამარჯვებული მხოლოდ დამატებითად დრომ გამოავლინა. თამაში 99:96 მოიგეს პოლიტექნიკოსებმა, რომლებმაც საბოლოოდ პირველი ადგილი დაიკავეს და საკავშირო უნივერსიტეტის საგურუო მოიპოვეს. მეორე ადგილზე უნივერსიტეტის კალათბურთელი გავიდნენ, მესამე ადგილზეა ფიქსურულად ინსტიტუტის გუნდი.

კალათბურთელთა ტურნირის შედეგები საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

პაპა დანელია.

მოკლედ
დახმარების საკადრაკო-სამამოკლებში დამთავრდა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიქსურულად სპორტული საზოგადოების სამბოში შემაგალიტკავალსსხვა ორგანიზაციების მეორე სარაიონო

სპარტაკაიდის პროგრამით გათვალისწინებული 1988 წლის გუნდური პირველობა ჰადრავში, რომელიც 16 ძირეული ფიქსურულად

რული კოლექტივი (2 ვაეი და 1 ქალი). მონაწილეობდა. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: სამედიცინო გაერთიანება (ლოა აბესაძე, მალხაზ აბესაძე, შო-

თა სისორდია); საქმთავარეზერგოს ელქსელები, სპორტკომიტეტი.

ჯამალ მახატაძე,
შეჯიბრების თავარი მსაჯი.

როცა სპორტული და ორგანიზაციული შესაძლებლობები, მათი ცოდნა და გამოცდილება, არამედ ფიზიკური კულტურისათვის და სპორტის, როგორც ჯანმრთელობის პირველ წყაროსთან მათი დამოკიდებულება. აი, ეს არის საქმისადმი არაფორმალური მიდგომა.

ქართული ჭიდაობის დღეს

უპარლის რაიონი

ქართული ჭიდაობის დღის დაწყების იდეა აქედან წამოვიდა: 1984 წლის 11 მაისს ახალსოფელში მრავალრიცხოვანი აუდიტორია კარგად ორგანიზებული სპორტული ღონისძიების მოწვევას გახდა — ფართო საპილო წრეში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ როგორც ყვარლის, ასევე მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული ფალანგები. მკაფურებელმა კიდევ ერთხელ იხილა ქართული ჭიდაობის ილეთები — კისტული, შუაკაური, გარეკაური, მოგვერდი... ეს ნამდვილად სახალხო სპორტული ზეიმი ტელევიზიის საშუალებით მთელმა რესპუბლიკამ იხილა. აქედან მოყოლებული ტრადიციულ დამკვიდრდა დაწესებულებული ქართული ჭიდაობის დღე. წელს იგი ფართოდ აღნიშნეს ყვარლის რაიონში, კერძოდ სოფელ გავაზში, ქიკაიაში, ახალსოფელში, განსაკუთრებით კი — შილაში. აქ ქართული ჭიდაობის ზეიმი 21 მაისს დაიწყო და 22-მდე გაგრძელდა. ამ დღე სოფელს საკუთარი ფალანგებიც სიკამოდ ჰყავს. ზეიმზე კი მით დაემატათ ანგერის რაიონის სოფელ ქვემო ალვანიდან და ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენიდან, აგრეთვე მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული მოჭიდავეები, რამაც უფრო მეტი აზარტი შესძინა ასპარეზობას. ასე რომ, ჭიდაობის მრავალრიცხოვანი მოყვარულნიც კმაყოფილი დარჩნენ და მოჭიდავეებიც — ყველა გამარჯვებულს გადაეცა სამახსოვრო პრიზი.

თელავი

ქალაქში წინასწარ გამოკრული აფიშებიც რომ არა, 22 მაისის დილას აქაურმა ქართული ჭიდაობის

გულშემატივებმა ისედაც იცოდნენ საით უნდა აედოთ გეზი — ქალაქის ცენტრში, სპორტსკოლის მახლობლად დილის 10 საათზე გაიხსნა დილისა და ზურნის ხმა. ღია საპილო წრეში პირველი გადავიდნენ ყველაზე ნორჩი ფალანგები. მათ მიჰყვნენ უფრო მოზრდილები და ბოლოს, უკვე გამოცდილი მოჭიდავეები ჩაებნენ ბრძოლაში. ბევრი საჭიდაოზე ცნობისმოყვარეობამ მიიყვანა, მაგრამ შემდეგ ცდუნებას ვეღარ გაუძლო და თვითონაც მორიგო ქართული ჩოხა. ძალის მოსინჯვა ბევრი ეწადა და ხალხსაც არ ეთმობოდა სანახაობა, მაგრამ ჭიდაობას სამ საათზე წვიმამ დაუსვა წერტილი. სოფელ ფშაველში საინტერესო ორთაბრძოლებმა რამდენიმე საათს გასტანა.

გურჯაანი

22 მაისს ჩვენი რაიონის 15-მდე სოფელი ჩამოვიარე, მით შორის ისინიც, სადაც ტრადიციულად პოპულარულია ქართული ჭიდაობა და სადაც ზაფხულობით, პერიოდულად მიიწვიან, იმართება ჭიდაობის საღამოები, მაგრამ არსად ჩამიჩუმი არ ისმოდა. ან კი სად უნდა ჩაეტარებინათ შეჯიბრებები, თუკი არც ერთ მარტივ ტიპის ღია საპილო ასპარეზი ჯერაც არ მოუშალებიათ ახალი სეზონისათვის. აფშაველსათვისაც არსად მომიკრავს თვალი. მიმდინარე წლის 9 მაისს გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებით გურჯაანში ჩატარდა რაიონული შეჯიბრება ქართული ჭიდაობაში, რომელშიც ოცდაათამდე სპორტსმენი მონაწილეობდა. არც ისე დიდი ხნის წინ ამდენივე კიდევ უკეთ მომზადებული ფალანგი თითოეულ სოფელს ჰყავდა. ასე თუ



გაგრძელდა, ჩვენი რაიონში მომავალ თაობებს ქართული ჭიდაობა პაპა-ბიძების სიყრმისდროინდელ ტიპულ მოგონებადღა შემორჩებათ.

ალექსანდრა პავოვიჩი

გათავაზდა ენთუზიასტის პრიზი

გასულ კვირას რიყეზე გაიმართა ქართული ჭიდაობის დღისადმი მიძღვნილი საქალაქო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის რაიონებისა და სპორტული სკოლების წარმომადგენლები. გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზები და დიპლომები. ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ჯილდო — ქართული ჭიდაობის დიდი ენთუზიასტის ილო ტლაშაძის სახელობის პრიზი მოიპოვა „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელმა ანზორ კახანაძემ, რომელიც 60 კგ წონაში ასპარეზობდა.

მოულოდნელობათა სერია

პარიზი. საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატი რამდენიმე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა. ტიმ მაიოტი (აშშ) დამარცხდა შვედ მაგნუს გუსტაფსონთან — 6:7, 4:6, 2:6. პაიტელმა რონალდ აგენორმა აჯობა ცნობილ ევროპულ ანდრეას გომესს — 6:4, 4:6, 6:4, 7:6. მეორე წრეში წარუმატებლად გამოვიდა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულის

გაერთიანებული დამცვენი

დაიწყო კალთბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩები. გამოირკვა იმ თექვსმეტი უძლიერესი კლუბის ვინაობა, რომლებიც, როგორც ამერიკელი მიმომხილველები იტყობდნენ, განაგრძობენ დავას „მსოფლიო ჩემპიონობისათვის“. გაგაცნობთ მერვედღიანული სერიის შედეგებს: (შეგასვენებთ, რომ ამ ეტაპზე თამაში მიმდინარეობს სამ გამარჯვებამდე). „ლოს-ანჯელეს ლიეკრისი“ — „სან-ანტონიო სპურსი“ — 3:0. „ბოსტონ სელტიქსი“ — „ნიუ-იორკ ნიკერსბოკერსი“ — 3:1. „იუტა-ჯაზი“ — „პორტლენდ თრილ ბლენზი“ — 3:1. „ჩიკაგო ბულზი“ — „კლივლენდ კავალიერსი“ — 3:2. „დევერ ნაიკისი“ — „სიეტლ სუპერსონიკსი“ — 3:2. „ატლანტა ჰორნეტსი“ — „მილუოკი ბაქსი“ — 3:2. „დეტროიტ პისტონსი“ — „ვანინგტონ ბულთისი“ — 3:2. „დალას მავერიქსი“ — „ჰიუსტონ როკეტსი“ — 3:1. მეოთხედღიანული სერიის ცენტრალური მატჩი, რა თქმა უნდა, „ბოსტონ სელტიქსის“ და „ატლანტა ჰორნეტსის“ შეხვედრაა, ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „ჩიკაგო ბულზის“ და „დეტროიტ პისტონსის“ მატჩი, რომელშიც მოუთმენლად ელიან ორი ვარსკვლავის — ჯორდანის და ტომასის პაექრობას.

მეიბა პალანდაძე

ეროვნული

წარმოადგენელი მანა მანდუკიკაძე მან არგენტინელმა ბერინა ფულკომ მოუგო — 6:3, 6:4.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად რიჩი რენებერტთან (აშშ), ანდრეი ჩენსოკოვმა — 6:4, 6:3, 3:6, 6:3. პირველი შეხვედრა ჩატარა ნატალია ზევერევა და ნატალია ბიკოვას წყვილმა და ფრანგების ლუეტი (მარი-კრისტინ კალიე და სიბილ შატიე) დაამარცხა — 6:3, 6:4.

სეპარატიზმი - შიშვენილი

ფორალი. იტალიის ამ ქალაქში დაიწყო ფრენბურთულ ქალთა ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირი. სსრ კავშირის ნაკრებმა მეორე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან კანადის გუნდი დაამარცხა — 3:0.

სკოპლე. აქ მიმდინარეობს ხელბურთულ ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა შვეციის გუნდს დაამარცხა — 27:20. ტურნირში ამ ორი კოლექტივის გარდა გამოდიან ბოლონეთის და იაპონიის ახალგაზრდული და პირველი ნაკრები გუნდები.

მოსკოვი. კრიოლატსკის ოლიმპიურ ველორტეზე ჩატარდა ველოსპორტში სსრ კავშირის თასის გათამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება 1 კილომეტრზე ადგილიდან გიტში. პირველი ადგილი და საპატიო პრიზი მოსკოველმა კონსტანტინე ხრახცოვმა დაისაკუთრა — 1.03,839. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: კიეველი ალექსანდრე კირიჩენკო (1.03,967) და რიგელი ულდის ბრემანისი (1.04,269).

გოლმ ტური ბაარკვეს

თბილისის ჰალარაის სახალგაო დანასრულს უახლოვდება მოქალაქე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი.

ერთპიროვნული ლიდერი ოსტატი გია გიორგაძე XII ტურში თეთრი ფიგურებით ეთამაშა ოსტატ თამაზ კიკაძეს. მეტოქეებმა ძველი დღური დაცვის ერთ-ერთი რთული ვარიანტი გაითამაშეს. უკვე მერვე სვლაზე ლაზიერები გაიცვალა და შავებმა სწრაფად გაათამაშეს პოზიცია, შემდეგ კი მოწინააღმდეგეებმა თავი აარიდეს ზედმეტ გართულებებს და დაზავდნენ.

თამაზ ტაბატაძე და იგორ ეფიმოვი უკვე მე-12 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. საინტერესო გამოდგა გია ბალათუროვისა და დავით ჩაჩიბაიას შეხვედრა. ბალათუროვი სპარსო ადვანტაჟზე გასვლის პრეტენდენტია და ბუნებრივად, მან თავიდანვე მრგვლებზე გადაწყვიტა ეთამაშა. თეთრები დებიუტშივე დაუფლნენ ინი-

ციტივას — მათ ცენტრში გადაბმული პაიკები შექმნეს. 29-ე სვლაზე ლაზიერები გაიცვალა და ბალათუროვმა პაიკი მოიგო, რის შემდეგაც მას არ გასჭირვებია პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მიქაძე-სუბატიანი — 0,5:0,5, გოგიანი-ფილითორია — 0,5:0,5, გურგენიძე-ზაჩიკი — 0,5:0,5, ტყეშელაშვილი-ბერიანი — 0,5:0,5.

ზურაბ მიქაძემ დაამარცხა გოჩა ტყეშელაშვილი XI ტურის გადამდებულ პარტიაში. ამ დღესვე შედგა ბუხუტი გურგენიძისა და ზურაბ მიქაძის X ტურის გამორთვებული პარტიაც, რომელიც გურგენიძის გამარჯვებით დამთავრდა.

ამრიგად, ბოლო, XIII ტურის წინ 10 ქულით შეჯიბრებას ეკვავა გია გიორგაძე უღვას სთავაშე. მას ერთი ქულით ჩამორჩება თამაზ ტაბატაძე.

ვანო პაპაძე

ახალგაზრდობის დახმარებით

ჩინეთის დედაქალაქი გულმოდინედ და დიდი მონდობებით ემზადება აზიის XI თამაშებისთვის, რომელიც აქ უნდა ჩატარდეს 1990 წლის შემოდგომაზე. ასეთი დიდი შეჯიბრების ორგანიზაცია, ცხადია, არსებული სპორტული ბაზების განახლებას, ზოგ შემთხვევაში კი მშენებლობასაც მოითხოვს. და აი, მშენებლებს მხარში ათულდა პეკინის ახალგაზრდობა. მოხალისენი ყველაზე რთულ და პასუხსაგებ უბნებზე დილიდან საღამომდე უსასყიდლოდ მუშაობენ, ვინაიდან თვლიან, რომ თამაშების ორგანიზებულად ჩატარება ყველა ჩინელის ვალია.

მთავარი სპორტული არენის — „მუშათა სტადიონის“ რეკონსტრუქცია უკვე დამთავრდა. განახლებული ბაზა, სადაც მოეწყობა თამაშების საზეიმო გახსნა და დახურვა, სადაც ჩატარდება ფეხბურთელთა მთელი ტურნირი ახლა 80 ათას მაყურებელს იტევს.

გამარჯვება უმცროსი ფასად

მონტა-პარლოს ქუჩებში გათამაშდა „ფორმულა-1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპი — მონაკოს „გრან პრი“.

ალენ პროსტმა კარგად გამოიყენა თანაგუნდელის, ბრაზილიელი აირტონ სენას მოულოდნელი შეცდომა და თვისი 30-ე „დიდი პრიზი“ მოიპოვა.

ეს ფრანგი სპორტსმენის მეოთხე გამარჯვება ამ ტრასაზე (1984, 1985, 1986 და 1988 წ.წ.).

მონაკოში მოპოვებული წარმატების შემდეგ პროსტი 10 ქულის სხვაობით უსწრებს უახლოეს მეტოქეს და ახლა მრბოლთა შორის ერთპიროვნული ლიდერია.

სენამ, რომელიც 66 წრის განმავლობაში ლიდერობდა (სულ სპორტსმენებს 78 წრე უნდა გაველოთ) და პროსტს 54 წრით უსწრებდა, ვერ დაიმორჩილა ავტომობილი და ბარიერს შეეჯახა. პროსტი უცებ აღმოჩნდა ლიდერის პოზიციაში და თავისუფლად, დაბრკოლების გარეშე გაიმარჯვა.

ეტაპის საბოლოო შედეგები ასეთია: 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-პონდა“) — 9 ქული; 2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — 6 ქული; 3. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი“) — 4 ქული; 4. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ მეგატრონი“) — 3 ქული; 5. ჯონათან პალმერი (ინ-

გლისი, „ტიარელ ფორდ კოსუორტი“) — 2 ქული; 6. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს ჯაილი“) — 1 ქული.

მესამე ეტაპის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 24 ქული; 2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია) — 14 ქული; 3. აირტონ სენა (ბრაზილია) — 9; 4. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ლოტუს ჰონდა“) — 8; 5-6. დერეკ უორვიკი (ინგლისი), მიქელე ალბორეტო (იტალია) — 6-6 ქული; 7. ტიერი ბუტსანი (ბელგია, ბენეტონ ფორდ კოსუორტი) — 3; 8. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტიარელ ფორდ კოსუორტი“) — 2; 9-11. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ლოტუს-ჰონდა“),

ალენსანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ ფორდ-კოსუორტი“), რიკარდო პატრეზე (იტალია) — თითო ქული.

კონსტრუქტორთა პირველობაზე ქულები ასე განაწილდა: 1. „მაკლარენ-პონდა“ — 33 ქული; 2. „ფერარი“ — 20; 3. „ლოტუს-პონდა“ — 9; 4. „ეროუზ მეგატრონი“ — 6; 5. „ბენეტონ ფორდ კოსუორტი“ — 4; 6. „ტიარელ ფორდ კოსუორტი“ — 2; 7. „უილიამს ჯაილი“ — 1 ქული.

ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი გაიმართება 29 მაისს, მექსიკაში, პედრო და რიკარდო როდრიგესის სახელობის ტრასაზე.

დავით ნუბინიძე

რედაქტორი თ. ბაჩიანიძე

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი

28 მაისი

რეპრი

საბჭოთა კავშირის პირველობა პირველი ლიბა

„შეპარაქნი“ (თბილისი) — „პრანსი“ (დნეპროპეტროვსკი) დასაწყისი 18 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებსთვის — 350098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
ტელეფონისთვის — თბილისი, „ლელო“.

ადამიანის ტელეფონები:
წერილებს განყოფილება — 93-97-55,
სამდგენი — 93-97-53,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-28, „მართვა“ — 93-97-27.

53950
0563460
66485

საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის ხელისუფლება, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოცხეტური წესით ნაკვეთი კორპუსში: ზოგარაულის, 23.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05380